ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31223425**
თარიღი: **08/12/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ მოსახლეობასთან

შეხვედრის ოქმი N 1

შეხვედრის ადგილი: ლანჩხუთი - ჟორდანიას ქუჩის მოსახლეობა

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 06. 12. 2022 წელი. 12:30 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ თავმჯდომარე - **გიორგი ხელაძე,** კომისიის წევრები: **დარეჯან ბურჭულაძე, კარლო წილოსანი, მაკა მშვიდობაძე,** საკრებულოს წევრი, საკრებულოს „სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა“ კომისიის თავმჯდომარე, ქალაქ ლანჩხუთის მაჟორიტარი დეპუტატი **კარლო კვიტაიშვილი,** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: **ნინო ჭანტურიშვილი,** მოწვეული პირები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ“ საქართველოს მთავრობის N 239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კონსულტაცია გამართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ არსებული სკვერისთვის ზურაბ თავართქილაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან.

კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე** მიესალმა მოსახლეობას და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. მან აღნიშნა, რომ კომისიის ექვსივე წევრმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი, რომ აღნიშნულ სკვერს მიენიჭოს ზურაბ თავართქილაძის სახელი, რომელმაც ლანჩხუთი 1985 წლის 22 ნოემბერს საკუთარი სიცოცხლის ფასად იხსნა უდიდესი კატასტროფიდან, როდესაც მოახდინა ყოფილი „ნევთობაზის“ ტერიტორიაზე გაჩენილი ხანძრის ლოკალიზება. გიორგი ხელაძემ აგრეთვე აღნიშნა, რომ ისიც იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე, სადაც დაახლოებით 300 ადამიანი იყო შეკრებილი, როდესაც ზურაბ თავართქილაძემ ლანჩხუთი გადაარჩინა უდიდეს ტრაგედიას.

მოქალაქე **ეთერ თვარაძემ** აღნიშნა - ზურაბ თავართქილაძე, რომ არ ყოფილიყო, ლანჩხუთი არ იარსებებდა.

მოქალაქე **ნანა ყაზაიშვილი** მოხარულია, რომ სკვერს მიენიჭება ზურაბ თავართქილაძის სახელი. აღნიშნა - აქამდეც უნდა დაფასებულიყო ამ ადამიანის

გმირობა.

მოქალაქე **დავით დოლიძე -** ქალაქში არ მოიძებნება ადამიანი, ვინც აღნიშნულის წინააღმდეგი იქნება. ზურაბ თავართქილაძე საკუთარ სიცოცხლეს სწირავდა, რათა ქალაქი გადაერჩინა, რაც აუცილებლად დასაფასებელია.

შეხვედრის ყველა მონაწილემ ერთხმად აღნიშნა, რომ მხარს უჭერენ აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტას.

გიორგი ხელაძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხს აქვს რიგი პროცედურები და მხოლოდ გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ ხდება სახელის მინიჭება. კომისიის წევრები ითვალისწინებენ რა მოსახლეობის თხოვნას, აყენებენ საკითხს სამთავრობო კომისიის წინაშე გამონაკლისის დაშვების შესახებ.

კომისიის წევრი, **მაკა მშვიდობაძე -** ქალაქში ბევრი არაა ისეთი ადამიანი, ვინც მსგავს გმირობას ჩაიდენს და მათ შორის ერთ-ერთი იყო ზურაბ თავართქილაძე.

კომისიის წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ზურაბ თავართქილაძე არ იყო საზოგადო მოღვაწე, მაგრამ იმაზე დიდი გმირობა ჩაიდინა, რაც ერთ ადამიანს შეუძლია გააკეთოს.

გიორგი ხელაძემ მადლობა გადაუხადა ქალაქის მაჟორიტარ დეპუტატს კარლო კვიტაიშვილს მხარდაჭერისთვის. თავის მხრივ დეპუტატმა აღნიშნა, რომ მან წარმოადგინა სამოტივაციო წერილი და განსაკუთრებულად უჭერს მხარს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებას.

გიორგი ხელაძემ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა მოსახლეობას მობრძანებისთვის, მხარდაჭერისათვის და აღნიშნა, რომ იმედი აქვს, დროულად დასრულდება პროცედურები სკვერისთვის ზურაბ თავართქილაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე